

შპს „ბეტალი“

426528714

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2022 წლის 31
დეკემბერს

შპს „ბეტალი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	6
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა	9
4. ამონაგები	9
5. ფინანსური დანახარჯები	10
6. საბიუჯეტო გადასახადები.....	10
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10
9. ძირითადი საშუალებები	10
10. ბანკის სესხი	11
11. სავაჭრო ვალდებულებები.....	11
12. კაპიტალი.....	11
13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	11
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	12

შპს „ბეტალი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 426528714

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	4	9460212	5683795
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4698677)	(3901772)
საერთო მოგება		4761535	1782023
სხვა შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		(346793)	(283760)
ცვეთა და ამორტიზაცია		(436884)	(400148)
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	5	(332853)	(265404)
იჯარის ხარჯი	12	(9322)	(33874)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(4142398)	(1275856)
სხვა ხარჯები		0	0
საოპერაციო მოგება		(506715)	(477019)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(6847)	(8226)
ფინანსური ხარჯი		0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	5	0	(34858)
მოგება დაბეგვრამდე		(513562)	(520103)
მოგების გადასახადის ხარჯი	7	0	0
მიმდინარე წლის მოგება		(513562)	(520103)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(513562)	(520103)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		(185423)	599130
ახალი აქციების გამოშვება		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	(34489)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	2827
კაპიტალის სხვა ცვლილებები		168280	(229788)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(530705)	(182423)

დირექტორი: ალექსი კურატიშვილი
ხელმოწერა:



შპს „ბეტალი“ (426528714)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
მიმდინარე აქტივები		1388374	1758086	2151356
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	18620	53194	1585111
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1101881	854073	53194
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	224530	272292	174979
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0	16996
გადახდილი ავანსები		43343	99781	35606
გრძელვადიანი აქტივები		2423261	2708759	1269213
ძირითადი საშუალებები	9	2423261	2708403	1269213
არამატერიალური აქტივები	10	0	356	0
სულ აქტივები		3811635	3988101	3420569

ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
მიმდინარე ვალდებულებები		1549261	4170524	735713
სავაჭრო ვალდებულებები	11	1277958	829196	733194
გამოუმუშავებელი შემოსავალი		135171	262477	2519
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0	0	0
მიღებული ავანსები		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		73782	41444	0
სხვა ვალდებულებები		0	0	0
საიჯარო ვალდებულებები		62350	64350	0
გრძელვადიანი ვალდებულებები		2793079	2973057	2085725
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	2793079	2973057	2085725
გადასახდელი პროცენტები		0	0	0
საკუთარი კაპიტალი		0	0	599130
საწესდებო კაპიტალი	13	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება		(530705)	(181421)	599130
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	(1002)	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3811635	3988101	3420569

დირექტორი: ალექსი კურატიშვილი

ხელმოწერა

6-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბეტალი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, გარდაბანი, სოფ. ნორიო, მე-6 ქ., III შეს., № 1 მისი ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგროპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად

გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი

დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2022	2021
--	------	------

საქონლის რეალიზაცია	9460212	5683795
მომსახურების გაწევა	0	0
გაყიდული საქონელის დაბრუნება და ფასდათმობა	0	0
	0	0

5. ფინანსური დანახარჯები

	2022	2021
ბანკის სესხის პროცენტი	(332853)	(265404)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0	(34858)
	(332853)	300262

6. საბიუჯეტო გადასახადები

	2022	2021
მოგების გადასახადი	0	0

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო დებიტორები	1101881	854073
წინასწარი გადახდები	43343	99781
	1145224	953854

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022	2021
ნედლეული	219057	266276
სარეკლამო საქონელი	0	0
	219057	266276

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებ ულება	მიწა და შენობა - ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და მოწყობილობა	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2022 წ.	944615	92911	1143	7277	851727	1897673
ცვთა	114745	19992	228	1860	145095	281920
31 დეკემბერი 2022 წ.	829870	83627	914	6687	726231	1647329

10. ბანკის სესხი

	2022	2021
ბანკის სესხი (გრძელვადიანი)	2793079	2973057
ბანკის სესხი (მოკლევადიანი)	0	0
	2793079	2973057

11. სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 1277958 ლარს (2021 წლის 31 დეკემბრისთვის 829196 ლარი)

12. კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 0 ლარს.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021
ფულადი სახსრები სალაროში	8732	10266

ფულადი სახსრები ბანკში	9887	42928
------------------------	------	-------

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: ალექსი კურატიშვილი

ხელმოწერა:

